პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 152 (4662)

1972 წ. 5 აგვისტო, შაბათი. ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**— 72**

● **ობერსტდორფი** (გფრ), 3 აგვისტო. ჰოკეისტთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში მოსკოვის „სპარტაკმა" ანგარიშით 5:1 დაამარცხა პოლონეთის ნაკრები. შაიბები გაიტანეს ლობანოვმა, შალიმოვმა, კრილოვმა, კაზაჩკინმა და გურეევმა.

● **ალმა-ათა**, 3 აგვისტო. ბალახის ჰოკეის საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის IV ტურში ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები იზეიმეს. ახლა სამ გუნდს — „ურალსკი ტრუბნიკს" (პერვოურალსკი), „ფილისა" (მოსკოვი) და „ტორპედოს" (სიზრანი) 4-4 ქულა აქვთ. ხაბაროვსკის არმიელებსა და არხანგელსკის „ვოდნიკს" (ვოდნიკელებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს — ანგარიშით 4:2 სძლიეს ხაბაროვსკელებს) 2-2 ქულა დაუგროვდათ. ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდს ჯერჯერობით არც ერთი ქულა არ მოუპოვებია.

● **კოშიცე**, 3 აგვისტო. „მეგობრობის თასზე" ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გამართული საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა კალათბურთელი იუნიორების გამარჯვებით აღინიშნა. ფინალურ მატჩში მათ საინტერესო ბრძოლაში აჯობეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — 68:51 (32:29). შეჯიბრებაში 9 ქვეყნის გუნდები მონაწილეობდნენ.

● **ოსლო**, 3 აგვისტო. „ბიშლეტის" სტადიონზე განუზომელი ინტერესი გამოიწვია მძლეოსანთა დიდმა საერთაშორისო შეჯიბრებამ. შესანიშნავად იასპარეზა ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა, რომელმაც ყველას აჯობა სიმაღლეზე ხტომაში — 221 სმ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მან სძლია ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური ნაკრების მხტომელებს, რომლებიც მთლიანი შემადგენლობით გამოვიდნენ სარბიელზე. რ. ჯორდანმა II ადგილი (218 სმ) დაიკავა, კ. დანმა კი IV (212 სმ). მოსკოველმა ა. კორნელიუკმა მოიგო 100 მეტრზე მეორე ფინალური გარბენი — 10,2 (პირველ გარბენში საუკეთესონი იყვნენ ამერიკელები რ. ტეილორი და გ. ტინკერი. ორივემ ერთნაირი შედეგი აჩვენა — 10,1). 110 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა ტ. ჰილმა (აშშ) — 13,4. ფინიშთან მეოთხე მიიჭრა სსრ კავშირის რეკორდსმენი, მინსკელი ვ. მიასნიკოვი — 13,8. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა ზანგმა ლ. ევანსმა ყველაზე სწრაფად გაირბინა 400 მ — 45,0. ბირთვი ყველაზე შორს ამერიკელმა ჯ. ვუდსმა ჰკრა — 21,01 მ. 1500-მეტრიან დისტანციაზე რბენაში უძლიერესი აღმოჩნდა ფინელი პ. ვასალა — 3.38,3. მეორე იყო ამერიკელი ს. პრეფონტეინი (3.39,4), რომლის ძირითადი „სპეციალობა" 5 კილომეტრზე რბენა გახლავთ. მასპინძელთაგან თავი გამოიჩინა ზ. გრიმნესმა, რომელმაც ყველაზე შორს ტყორცნა შუბი — 84,60 მ.

## საჩოგბურთო აგვისტო

მოსკოვი, 4 აგვისტო. ევროპის ჩოგბურთელთა IV ჩემპიონატში (ბუდაპეშტი, 8-14 აგვისტო) საასპარეზოდ დღეს უნგრეთის დედაქალაქში გაემგზავრა საბჭოთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან: კონტინენტის ჩემპიონები — მოსკოველი ო. მოროზოვა, თბილისელი ა. მეტრეველი, რიგელი ზ. იანსონე, აგრეთვე, მოსკოველი ვ. კოროტკოვი, ბაქოელები ს. ლიხაჩოვი, ე. ბირიუკოვა, ალმაათელი მ. კრომინა და ამ ტურნირის დებიუტანტი, თბილისელი თ. კაკულია, რომელმაც დევისის თასის გათამაშებისას რუმინელებთან მატჩში გამოიჩინა თავი.

უნგრეთიდან მოსკოვში დაბრუნებული საბჭოთა ჩოგბურთელები პირდაპირ ბრძოლაში ჩაებმებიან: 13 აგვისტოს ლუჟნიკში გაიხსნება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ათი ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობას ვარაუდობენ.

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# მეათე პარტია

### ფიშერი — სპასკი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0—0 9. h3 მb8 10. d4 მbd7 11. მbd2 კb7 12. კc2 ეe8 13. b4 კf8 14. a4 მb6 15. a5 მbd7 16. კb2 ლb8 17. ეb1 c5 18. bc dc 19. de მ:e5 20. მ:e5 ლ:e5 21. c4 ლf4 22. კ:f6 ლ:f6 23. cb ეed8 24. ლc1 ლc3 25. მf3 ლ:a5 26. კb3 ab 27. ლf4 ეd7 28. მe5 ლc7 29. ეbd1 ეe7 30. კ:f7+ ე:f7 31. ლ:f7+ ლ:f7 32. მ:f7 კ:e4 33. ე:e4 მფ:f7 34. ეd7+ მფf6 35. ეb1 ე:a1+ 36. მფh2 კd6+ 37. g3 b4 38. მფg2 h5 39. ეb6 ეd1 40. მფf3 მფf7. პარტია გადაიდო.

* * *

მატჩში პირველად გათამაშდა ესპანური პარტია. სპასკი სიამოვნებით თამაშობს მას თეთრებით და შავებითაც, ფიშერი — მხოლოდ თეთრებით.

საინტერესოა, რომ სპასკიმ გამოიყენა თამაშის ორიგინალური სისტემა. ამ სისტემას 20-ან წლებში უნგრელი ოსტატი ბრეიერი თამაშობდა, ხოლო ბოლო დროის სატურნირო პრაქტიკაში საბჭოთა მოჭადრაკეებმა ფურმანმა და ბორისენკომ შემოიღეს. სხვათა შორის, სპასკიმ იგი ნ. გაფრინდაშვილის წინააღმდეგ გაითამაშა შარშან შვეციის საერთაშორისო ტურნირში და უპირატესობა ვერ მიიღო.

პირველი 12 სვლა მეტოქეებმა 15 წუთში გააკეთეს. მე-13 სვლით ფიშერმა ბრძოლა გაამწვავა.

აქტიური მოქმედება პირველმა სპასკიმ დაიწყო. მან პაიკი შესწირა, რომელიც მერე ფიშერმა უკან დააბრუნა. იერიშის განვითარების მიზნით 26-ე სვლაზე ამერიკელმა მოჭადრაკემ თავად შესწირა პაიკი. შავების პოზიცია ძნელი დასაცავი აღმოჩნდა. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონმა მხედარსა და პაიკში ეტლი დათმო. მაგრამ ფიშერმა ინიციატივა მაინც შეინარჩუნა. თამაში გადავიდა ენდშპილში, სადაც სპასკის ორი გამსვლელი პაიკი მხოლოდ პოტენციურ ძალას წარმოადგენდა. ფიშერმა ისე ააწყო თამაში, რომ მსოფლიო ჩემპიონს საკუთარი მეფის უსაფრთხოებაზე უნდა ეფიქრა.

სპასკის მე-40 სვლის შემდეგ პარტია გადაიდო ასეთ პოზიციაში:

სპასკი



ფიშერი

ფიშერმა ჩაიწერა თავისი 41-ე სვლა. სპეციალისტების აზრით, მსოფლიო ჩემპიონის პოზიცია უარესია. ამერიკელი მოჭადრაკის ეტლები ძალიან აქტიური არიან, მაშინ, როცა შავ კუს გასაქანი არა აქვს. სპასკის ძნელი დაცვა ელის.

ამრიგად, 10 პარტიის შემდეგ ანგარიშია 5,5:3,5 ფიშერის სასარგებლოდ და, როგორც ვთქვით, ერთი პარტია გადადებულია.



## ახალგაზრდების ცა

ორიოლი, 4 აგვისტო. აქ ტარდება სსრ კავშირის 34-ე ჩემპიონატი საპლანერო სპორტში. გათამაშდა პირველი ოქროს მედლები, რომლებიც ახალგაზრდა სპორტსმენებმა, ყაზახეთის წარმომადგენელმა ვ. კუზნეცოვამ და ლიტველმა ა. რაჩიუნასმა დაისაკუთრეს.

საჰაერო სპორტსმენებმა ასპარეზობა დაიწყეს ერთ-ერთი ყველაზე რთული ვარჯიშით — 311-კილომეტრიანი სამკუთხა მარშრუტით სწრაფფრენით. სტარტი 44 პლანერისტმა აიღო, ფინიშთან კი 41 მივიდა. ეს იშვიათი შემთხვევაა.

კუზნეცოვამ რთული დისტანცია შესანიშნავი საშუალო სიჩქარით დაფარა — 79,5 კმ საათში, და თავისი რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა. საუკეთესო შედეგი აქვს რაჩიუნასსაც (87,1).

ქალებში II და III ადგილები დაიკავეს ს. კოვალენკომ (ბელორუსია) და რ. გარმუტემ (რიგა). სსრ კავშირის 1971 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ვ. ლაანი (ესტონეთი) ამჯერად მეექვსე იყო.

კაცებში ვერცხლის მედალი ხვდა ვ. შლიუმბეს (ლიტვა), ბრინჯაოსი — ვ. შვარცს (რსფსრ). (საკდესი).

ზუგდიდის სპორტსკოლაში გულმოდგინედ მუშაობენ მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად.

* * *

სურათზე: სპორტსკოლის მოსწავლეები აბარებენ ნორმატივს საგზატკეცილო ველორბოლაში.

მ. ზარგარიანის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

# კვლავ უძლიერესნი!

მარსელი, 3 აგვისტო. სატრეკო ველოსპორტის საბჭოთა ოსტატმა ქალებმა კვლავ მოიხვეჭეს მსოფლიო ჩემპიონთა წოდება — ადგილობრივ სარბიელზე ოქროს მედლები მოიგეს სპრინტსა და 3 კილომეტრზე ადგილიდან გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში. საბჭოთა კავშირის ჰიმნი გაისმა ჯერ 35 წლის მოსკოველი გ. ერმოლაევას პატივსაცემად, რომელმაც მეექვსედ დაიკავა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური მსოფლიო ჩემპიონატებში. მერე 26 წლის ტულელი თ. გარკუშინას წარმატება აღნიშნეს. მან დღეს მეოთხე ოქროს მედალი მოიპოვა. გამოდევნებით რბოლის ფინალურ სერიაში გარკუშინას შედეგია 4.02,05.

მსოფლიოში უსწრაფესი ველოსიპედისტი ქალის სახელი ერმოლაევამ პირველად 1958 წელს მოიხვეჭა პარიზის ტრეკზე. მერე კი ასეთივე მასშტაბის შეჯიბრებებში 1959, 1960, 1961 და 1963 წლებში იზეიმა გამარჯვება.

სსრ კავშირის ჩემპიონი ერმოლაევა პირველად 17 წლის წინათ გახდა — 500 მეტრზე ადგილიდან გიტში. მას შემდეგ მან კიდევ რვაჯერ მოიგო ოქროს მედალი საკავშირო ჩემპიონატებში როგორც ამ სახეობაში, ისე სპრინტში. მარსელის 500 მეტრიან ბეტონის ტრეკზე მწვრთნელ ვ. სმირნოვას შეგირდმა ნახევარფინალში შ. იანგს (აშშ) აჯობა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შეილა იანგი ცნობილია ყინულის საციგურაო ბილიკზე გამოსვლებით. ალბათ გახსოვთ: მან IV ადგილი დაიკავა ოლიმპიურ საპოროში 500-მეტრიან დისტანციაზე.

ფინალში ერმოლაევამ დაამარცხა ჰოლანდიელი ვ. ბრინკჰოფი, რომელსაც, ცხადია, ვერცხლი ხვდა. ბრინჯაოს მედალი იანგს ერგო.

გარკუშინას პირველი წარმატებები დაკავშირებულია 1966 წლის სეზონთან, როცა მან მოიგო სსრ კავშირის თასი და ქვეყნის ჩემპიონის სამი ოქროს მედალი (ტრეკზე გამოდევნებით ინდივიდუალურ და გუნდურ რბოლებში, აგრეთვე, 75 კილომეტრზე ჯგუფურ საგზატკეცილო რბოლაში). სულ გარკუშინამ საკავშირო ჩემპიონატებში ცხრაჯერ გაიმარჯვა, მათ შორის, წლეულსაც. იგი იყო სსრ კავშირისა და მსოფლიოს რეკორდსმენი, მსოფლიო პირველობებში კი ოქროს მედლები 1967, 1970 და 1971 წლებში მოიგო.

5 აგვისტოს მსოფლიოს უძლიერესი ველოსიპედისტი ქალები ჩემპიონატის ჯილდოებს გაითამაშებენ ჯგუფურ საგზატკეცილო რბოლაში. ეს შეჯიბრება გაივლის მახლობლად (ეს ქალაქი 200 კილომეტრითაა დაშორებული მარსელს) ოლიმპიურ წრიულ ტრასაზე გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში

# ფავორიტები უძლიერესებად რჩებიან



ყველა ეტაპობრივ შეჯიბრებაში სპორტსმენებს თითქმის ერთნაირი ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი: ფინალამდე ძალები ისე გაანაწილონ, რომ გადამწყვეტი ბრძოლის უფლება არ დაკარგონ და ბოლო სტარტისთვის ენერგიაც იმდენი შემოინახონ, რამდენიც უმაღლესი ადგილის მოპოვებისთვის დასჭირდებათ.

ასეა თბილისის „ლოკომოტივის" 50-მეტრიან აუზში მიმდინარე სსრ კავშირის მოცურავეთა 43-ე ჩემპიონატშიც.

თბილისის ეტაპის შეჯიბრება უკვე დაამთავრეს 100 მეტრზე ბრასით, გულაღმა და ბატერფლაით, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეებმა და 12-12 საუკეთესომ მოსკოვის შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

100 მეტრზე ბრასით ცურვაში კვლავ ფავორიტად რჩება მოსკოველი გ. სტეპანოვა. ამავე დისტანციაზე გულაღმა ცურვაში ქალთა შორის წინასწარი შეჯიბრებისადმი მიძღვნილ წერილში ვიტყობინებოდით, რომ სსრ კავშირის ჩემპიონსა და რეკორდსმენს, თბილისის დინამოელ თინათინ ლეკვეიშვილს გამარჯვებისთვის 1.09,3 ეყო. ლეკვეიშვილს ამ უპირატესობას ნ. ერშოვა (ბელორუსია) ეცილებოდა, იგი ლიდერს მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩა. მართალია, ამჯერად არსებითი მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმას, თინათინი ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა თუ მესამე ან მეოთხე. მისთვის მთავარი იყო მეოთხედფინალში ბრძოლის გაგრძელების უფლება არ დაეკარგა, მაგრამ სპორტსმენს ალბათ არ უნდოდა მშობლიურ ქალაქში მისი წაგების მოწმენი გავმხდარიყავით.

ამ სახეობაში მეოთხედფინალური შეჯიბრება მეორე დღეს გაიმართა. ლეკვეიშვილმა თანაქალაქელებს (და ერშოვასაც) დაუმტკიცა, რომ გულაღმა 100 მეტრზე ცურვაში საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით ბადალი არა ჰყავს — 1.08,1 (შარშან ქართველმა სპორტსმენმა ჩემპიონობა მოიპოვა ამ შედეგით: 1.08,0). ერშოვა ამჯერად უკვე წამით ჩამორჩა.

ამრიგად, მოსკოვში ორივე მეტოქე გამოვა, ისინი იქაც ერთმანეთის გვერდით ორჯერ დადგებიან და ამ დისტანციაზე წლევანდელი დავაც ამით დამთავრდება, ისე კი დინამოელ ერშოვას სახით ლეკვეიშვილს ღირსეული მეტოქე გამოუჩნდა, რაც 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამართულმა წინასწარმა შეჯიბრებამაც დაადასტურა. ეს შეჯიბრება ერშოვამ მოიგო — 2.31,0. ლეკვეიშვილმა 2.33,1 აჩვენა და 0,6 წამით აჯობა ნახევარფინალში მესამე შედეგით გასულ ი. გოლოვანოვას (ყაზახეთი, „დინამო"). ვნახოთ რას მოგვიტანს ნახევარფინალები.

რაკი სიტყვა გულაღმა ცურვაზე ჩამოვარდა, ვაჟთა შედეგებსაც გადავხედოთ. თუ ქალებმა მეოთხედფინალში უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს, ვიდრე წინასწარ გაცურვაში, ვაჟებზე ამას ვერ ვიტყვით. ლიდერმა — კაუნასელმა ვ. ტიკნიუსმა („ჟალგირისი") 100 მეტრზე ნაჩვენები შედეგი (1.03,5) მეოთხედფინალში 0,1 წამით გააუარესა. სამაგიეროდ, სხვებმა იმარჯვეს. მაგალითად, ბათუმელმა ვ. კრასკომ („დინამო"), წინასწარ შეჯიბრებაში 0,8 წამით უკეთეს მაჩვენებელს მიაღწია — 1.04,1 ნახევარფინალში გასული 12 საუკეთესო სპორტსმენის მაჩვენებლები მეტად მჭიდროა. მაგალითად, მე-12 სპორტსმენი ლ. დობროსკოკინი (ვოლგოგრადი) ნახევარფინალში 1.04,9-ით შევიდა. თუ წინა ორი ეტაპის შედეგებით ვიმსჯელებთ, მიუნხენის საგზურისთვის ბრძოლა სწორედ ტიკნიუსსა და კრასკოს შორის უნდა გაიმართოს.

100 მეტრზე გულაღმა ცურვაში სსრ კავშირის ჩემპიონს, მოსკოველ ი. გრივენიკოვს („დინამო") ჯერჯერობით მეექვსე შედეგი (1.04,6) აქვს.

200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში მოსკოველი ი. პეტროვი (შეიარაღებული ძალები) დაწინაურდა — 2.16,7. კრასკოს წინასწარ გაცურვაში მერვე შედეგი (2.21,2) ჰქონდა.

გრივენიკოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში იგი ნახევარფინალშიც ასპარეზობდა და ფინალში გავიდა — 1.59,1, საუკეთესო დრო (1.58,0) მისმა თანაქალაქელმა, ქვეყნის ჩემპიონმა ვ. ბურემ („ლოკომოტივი") აჩვენა. ნუ დავივიწყებთ, რომ ბურეს ჩემპიონობისთვის შარშან 0,1 წამით უარესი შედეგიც ეყო.

1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოულოდნელი იყო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის აღმოჩენის, ვოლჟსკელი ბ. სანდალოვის („ტრუდი") წარმატება. იგი ტურნირში უკონკურსოდ დაუშვეს, მაგრამ ყველაზე კარგ შედეგს მიაღწია — 16.55,7. მოგაგონებთ, რომ მოსკოველმა ა. დუნაევმა (ცსკა) შარშან ჩემპიონობა ამ დისტანციის 17 წუთსა და 1,1 წამში გაცურვით მოიპოვა. ვფიქრობთ, სანდალოვს 6 აგვისტოს თბილისში ფინალურ შეჯიბრებაშიც ვიხილავთ. აქ მას ბრძოლა მოუწევს თვით დუნაევთან (რომელმაც ამჯერად 17.28,4 აჩვენა), სსრ კავშირის რეკორდსმენთან, თბილისის დინამოელ ი. ლისეცკისთან (17.35,5) და სხვა ფავორიტებთან.

საქართველოდან შეჯიბრებაში მხოლოდ ზემოთ დასახელებული სამი სპორტსმენი გამოდის და სამივემ ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვა. ეს კი საკმაოდ ძნელი იყო, რაც შემდეგიდანაც ჩანს: 100 მეტრზე ბრასით მოცურავე ვაჟთა შორის 16 მეოთხედფინალისტიდან ყველამ სპორტის ოსტატის ნორმატივი აჩვენა, მაგრამ ოთხი მათგანი მოსკოვში ველარ იასპარეზებს. მსოფლიო რეკორდსმენს, მოსკოველ ნ. პანკინს („ლოკომოტივი") ნახევარფინალის პირველი საგზურის ხელში ჩასაგდებად 1.08,0 ეყო, ლენინგრადელი ვ. სტუკალოვის (შეიარაღებული ძალები) შედეგია 1.08,2, ხარკოველი ი. სპასოვხოდსკისა — 1.08,3. ასევე, 100 მეტრზე ბატერფლაით მეოთხედფინალური ცურვა თექვსმეტივე მეოთხედფინალისტმა სპორტის ოსტატის შედეგით დაამთავრა. ყველას მაინც 200 მეტრზე ამ სტილით ცურვაში სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. შარიგინმა („ბურევესტნიკი") აჯობა — 59,4.

უფრო მეტიც. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით წინასწარი გაცურვის სტარტზე გამოსული 22 ვაჟიდან წუთის ზღვარს ყველა გასცდა, ბურემ კი საუკეთესო დრო (53,7) აჩვენა, და გრივენიკოვს 0,1 წამი მოუგო.

სსრ კავშირის მოცურავეები ჩემპიონატისთვის წლეულს გაცილებით უკეთესად მომზადებულან, ვიდრე შარშან. ამას ისიც ადასტურებს, რომ მთელ რიგ სხვა სახეობებშიც უძლიერესებმა უკეთესი შედეგები მოიპოვეს, ვიდრე შარშანდელმა ჩემპიონებმა. აი, კიდევ რამდენიმე მაგალითი: თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ქალთა ცურვაში ჩემპიონმა ი. ტერეშინამ (მოსკოვი, „ტრუდი") შარშან 1.02,4 აჩვენა, ახლა კი ამ შედეგს წინასწარ ტურნირშივე გადააჭარბა სამმა საუკეთესომ — ნ. მატიუხინამ — 1.02,1, ე. ტიმოშენკომ (ორივე — მოსკოვი, „ტრუდი") — 1.02,1 და ტ. ზოლოტნიცკაიამ (ნოვოსიბირსკი, „დინამო") — 1.02,3). 200 მეტრზეც ასე იყო. თუ ტერეშინას შარშან ჩემპიონობისთვის 2.16,4 ეყო, ახლა წინასწარ ტურნირში ტიმოშენკომ 2.14,2 აჩვენა, ხოლო ნახევარფინალში საუკეთესომ ზოლოტნიცკაიამ — 2.13,4 100 მეტრზე ბატერფლაით მოცურავე, ქალთა ლიდერმა ვ. ვასკევიჩმა (ლვოვი, ასკ) მეოთხედფინალში თავისივე შარშანდელი საჩემპიონო შედეგი (1.07,9) გაიმეორა.

გუშინ დილით გაიმართა წინასწარი ტურნირები 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, აგრეთვე, 400 (ვაჟები) და 800 მეტრზე (ქალები) თავისუფალი სტილით ცურვაში. საღამოს გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. ლიდერობდნენ: ვაჟებში — მ. სუხარევი (ასტრახანი, „შრომითი რეზერვები") — 4.47,2, ქალებში — ნ. პეტროვა (მოსკოვი, „დინამო") — 5.25,6.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: გულაღმა მოცურავე ქალთა სტარტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ბუშინ...

ჩემპიონატის მონაწილეებმა ორი საკავშირო რეკორდი დაამყარეს: თ. ლეკვეიშვილმა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ნახევარფინალური შეჯიბრება 2 წუთსა და 26,6 წამში დაასრულა, ხოლო 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მ. სუხარევმა ჩემპიონის ოქროს მედალი ასევე რეკორდით დაამშვენა — 4.39,3.

### მეგობრული შარჟი



ნ. პანკინი

(მოსკოვი)

შ. შანიძის ნახატი.

## [illegible]

**ჩიკაგო, 3 აგვისტო.** ამერიკელმა სტუდენტმა, მომავალმა კბილის ექიმმა მარკ სპიცმა აშშ-ს მოცურავეთა აქ გამართულ წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით. წინასწარ გაცურვაში სპიცის დროა 2.01,87, ხოლო ფინალში — 2.01,5 (ელექტროქრონომეტრმა 2.01,53 აჩვენა). უწინდელი მსოფლიო რეკორდი, რომელიც დასავლეთგერმანელ ჰ. ფასნახტს ეკუთვნოდა, 1,4 წამითაა გაუმჯობესებული.

ცინცინატელმა მოსწავლემ, 17 წლის ჯენიფერ კემპმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აშშ-ს რეკორდი დაამყარა — 58,63. ეს შედეგი სულ რაღაც 0,13 წამით ჩამოუვარდება ბრწყინვალე ავსტრალიელი მოცურავის შეინ გოულდის მსოფლიო რეკორდს.

**ჩიკაგო, 4 აგვისტო.** ამ ქალაქის 50-მეტრიან ღია აუზში ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატში მოასპარეზე გ. ჰოლმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4.30,81. ძველი მიღწევა (4.31,03) ამ 21 წლის სპორტსმენს ეკუთვნოდა და ასევე აგვისტოში იყო დამყარებული შარშან.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### ახალი კომპლექსის საკოლმეურნეო ბაზები

უტენის კოლმეურნეობა „ვილუჩიაიში" „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარება დაიწყო. პირველი ჩათვლები უკვე მიიღო ასზე მეტმა მიწის მუშამ.

შემთხვევითი როდია, რომ პირველ ნომრად ცურვა აირჩიეს. აქ აიგო საწყლოსნო სადგური აუზით. ასეთივე სადგურები მიეწყო სხვა მეურნეობებშიც.

ყველგან შენდება მშდ-ს ბაზები. ექვს კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გაიხსნა ტირები სოფელ რაშეში აგებენ კომპლექსს მძლეოსნობაში, სროლაში, ცურვაში და სპორტის სხვა სახეობებში ნორმატივების ჩასაბარებლად. აკეთებენ წინაღობათა ზოლს.

ახალი კომპლექსი მტკიცედ იკიდებს ფეხს ლიტვის ამ ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. ყველა სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივში შეიქმნა მშდ-ს კომისიები და მსაჯთა კოლეგიები. რაიონში გაიხსნა ორი საკონსულტაციო და სამედიცინო პუნქტი.

ლიტვის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა მუშაობის გამოცდილება რესპუბლიკის ყველა სასოფლო რაიონში გაავრცელოს.

უტენა,

ლიტვის სსრ.

### განსაკუთრებული ექსპედიციის მარშრუტი

2 აგვისტოს ბაქოს ყურეში დაიწყო ლაშქრობა, რომელსაც „ვოდნიკის" სპორტსმენები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს უძღვნიან. ამ თავისებური ექსპედიციის მონაწილენი ეწვევიან თურქმენეთის ნავსადგურებს კრასნოვოდსკსა და ბეკტაშს, ყაზახეთში — შევჩენკოს, რუსეთში — ასტრახანსა და მახაჩყალას (დაღესტნის ასსრ).

15 ზღვაოსანი ერთ თვეში მესამე (ყველაზე რთული) კატეგორიის ორ 600-მილიან სპორტულ გაცურვას მოაწყობს. მოგზაურობის მონაწილეებს წმინდა სპორტული მიზნები როდი ამოქმედებთ. მათი მარშრუტი ზუსტად იმეორებს ტრასას, რომელზეც 1919-1920 წლებში რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ექსპედიცია მუშაობდა. ბაქოს იატაკქვეშელი ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული ექსპედიციის მიზანი იყო მუსავატელთა ხელში ჩავარდნილი ქალაქიდან გაეტანა საბჭოთა ასტრახანისთვის ვანკუთვნილი საწვავი. მაშინ იქ იყო განლაგებული მე-11 წითელი არმია, რომელიც კავკასიაში გამათავისუფლებელი ლაშქრობისთვის ემზადებოდა. უკან დაბრუნებისას ექსპედიცია ამიერკავკასიაში გადმოისროდა პარტიულ მუშაკებს, მარქსისტულ ლიტერატურას, ფულს, იარაღს, სამხედრო აღჭურვილობას.

მეთევზეთა ძველ აფრიან ნავებს, „ასტრახანკებსა" და „თურქმენკებს" რომ ეძახდნენ, ხშირად თეთრგვარდიელ პატრულთა გემებთან უხდებოდათ შეტაკება და უთანასწორო ბრძოლაში იღუპებოდნენ. მაგრამ ჩრდილოეთი მაინც ღებულობდა ბაქოდან საწვავს ექსპედიცია მუშაობდა, აზერბაიჯანის ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და საბჭოთა რუსეთს შორის კავშირი არ წყდებოდა.

ახლა ლაშქრობას გზა დაულოცა იმ განსაკუთრებული ექსპედიციის ერთ-ერთმა მონაწილემ, 80 წლის ფ. ისაევმა. მან აფრონხებს მშვიდობით ცურვა უსურვა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენთა მეგობრული კავშირის განმტკიცებას.

კრასნოვოდსკში ლაშქრობის მონაწილენი ნახავენ და გვირგვინით შეამკობენ 26 ბაქოელი კომისრის დახვრეტის ადგილს ყველგან, სადაც კი შეჩერდებიან, სპორტსმენები ადგილობრივ მოსახლეობასთან მოაწყობენ საუბრებს განსაკუთრებული საზღვაო ექსპედიციის გმირობაზე, საბჭოთა ხალხის ძმურ მეგობრობაზე. ლაშქრობის მონაწილენი პროპაგანდას გაუწევენ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის კომპლექსსაც" და მოაწყობენ ნორმატივების ჩაბარებას.

ა. გოლდენბერგი.

ბაქო.

### ყველაზე ზუსტად მეზღვაურები ისვრიან

ვლადივოსტოკში ჩატარდა მხარის ტრადიციული შეჯიბრება სასტენდო სროლაში „ოქროს რქების" პრიზზე. გაიმარჯვეს წყნარი ოკეანის წითელდროშოვანი ფლოტის სპორტკლუბის წარმომადგენლებმა. მათ დაისაკუთრეს ერთადერთი თავისებური ჯილდო — უსურიის გოლიათი ირმის უზარმაზარი რქები.

პირად შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა უსურიისკელმა პირველთანრიგოსანმა ვ. ვიშნიაკმა. ადგილიდან შეჯიბრებაში მან 25 სამიზნე დააზიანა.

ვლადივოსტოკი.

## [illegible]

# ფეხბურთი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### მატჩები, გოლები

2 აგვისტოს შედგა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი.

ასკ — „ყაირათი“ 1:1.

ორივე გუნდმა ვერ გამოიყენა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი და მხოლოდ ტაიმის დასასრულს მიაღწია მიზანს როსტოველი ანტონოვის დარტყმამ. საპასუხო გოლი მატჩის დასასრულამდე 8 წუთით ადრე გაიტანა ბაიშაკოვმა.

„ლოკომოტივი“ — „დინამო“ (მინსკი) 1:2.

ანგარიში უკვე მე-2 წუთზე გახსნა ლოკომოტიველმა ჩესნოკოვმა. მეორე ტაიმში მოსკოველებმა მეორე ბურთიც გაიტანეს, მაგრამ ეს იყო ჟურავლიოვის მიერ საკუთარ კარში გაგზავნილი „ავტოგოლი“. შემდგომში სახაროვის გადამწყვეტმა გოლმა გამარჯვება მოუტანა მინსკელებს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 18 | 11 | 4 | 3 | 31—14 | 26 |
| ცსკა | 18 | 10 | 2 | 6 | 21—19 | 22 |
| „დინ.“ (მნ.) | 18 | 7 | 7 | 4 | 19—15 | 21 |
| „დინ.“ (თბ.) | 18 | 8 | 5 | 5 | 19—17 | 21 |
| „არარატი“ | 18 | 7 | 6 | 5 | 26—16 | 20 |
| „დინ.“ (კ.) | 18 | 7 | 6 | 5 | 28—22 | 20 |
| „დნეპრი“ | 18 | 6 | 8 | 4 | 22—20 | 20 |
| „დინ.“ (მ.) | 18 | 8 | 3 | 7 | 23—20 | 19 |
| „ზენიტი“ | 18 | 5 | 7 | 6 | 21—21 | 17 |
| „ტორპედო“ | 18 | 6 | 5 | 7 | 15—24 | 17 |
| „სპარტაკი“ | 17 | 6 | 4 | 7 | 21—16 | 16 |
| ასკ | 18 | 5 | 6 | 7 | 19—21 | 16 |
| „კარპატი“ | 18 | 5 | 5 | 8 | 14—21 | 15 |
| „ყაირათი“ | 18 | 2 | 10 | 6 | 10—17 | 14 |
| „ლოკომოტ.“ | 18 | 3 | 5 | 10 | 16—25 | 11 |
| „ნეფთჩი“ | 17 | 4 | 3 | 10 | 15—30 | 11 |

### უმაღლესი ლიგა

### II ლიგა III ზონა

2 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ ამ შეხვედრათა შესახებ:

#### ბათუმი

დიდ ინტერესს იწვევდა ბათუმის დინამოელთა შეხვედრა ლიპეცკის „მეტალურგთან“. ლიპეცკის გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია ზონაში, ხოლო ბათუმელები ძალიან დაუახლოვდნენ ლიდერთა ჯგუფს. ამდენად ამ მატჩის შედეგს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა III ზონის სატურნირო ცხრილისთვის.

თამაშის დასაწყისი ერთობ მოულოდნელი გამოდგა: დიქტორს ჯერ არც ჰქონდა გუნდების შემადგენლობები გამოცხადებული, როცა ქორიძემ შორიდან დაარტყა კარში. ბურთი მოიგერიეს, მაგრამ მას მიუსწრო სირბილაძემ და აიღო „მეტალურგის“ კარი — 1:0.

დინამოელებს მალე რამდენიმეჯერ მიეცათ ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა. ქორიძემ, მაგალითად, ვერ შეძლო ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება, თუმცა ვალში არც სტუმრები დარჩენილან. მეკარე მორჩილაძეს ძალიან ძნელი ბურთების აღება მოუხდა სილოხინისა და ჟოტოლოვსკისაგან.

„დინამომ“ ეს ანგარიში ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნა. შემდეგ იგი კვლავ შეტევაზე გადავიდა, მაგრამ 58-ე წუთზე სილოხინმა ერთ-ერთი კონტრშეტევისას საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1.

ბათუმელები ბევრს ეცადნენ დაებრუნებინათ დაკარგული უპირატესობა, „მეტალურგის“ კართან არაერთი კრიტიკული მომენტი შეიქმნა, მაგრამ გადამწყვეტი გოლის გატანა ვერ შეძლეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან არაკვალიფიციურად, სუსტად მსაჯობდა მოსკოველი არბიტრი მ. რაფალოვი. მან მაგალითად, არ დანიშნა აშკარა პენალტი, როცა ბათუმელთა თავდამსხმელი ქიქავა კარის წინ მოცელეს ლიპეცკელმა მცველებმა.

ო. მურვანიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

#### გორი

ადგილობრივი „დილა“ და ბელგოროდის „სალუტი“ ახლო მეზობლობაში არიან გათამაშების ცხრილში და ამ გარემოებამ გარკვეული დაღი დაატყო მატჩის მსვლელობას. შეხვედრა დაძაბული, საინტერესო იყო.

თამაში დაიწყო სწრაფად, მაღალ ტემპში. რამდენიმე ორმხრივი იერიშის შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა ხელთ იგდეს მასპინძლებმა, რომელთა ერთ-ერთი შეტევა შედეგიანადაც დამთავრდა: 29-ე წუთზე ბურჯანაძემ მარცხენა ფლანგზე წამოიწყო კომბინაცია, გადასცა ბურთი ხანიშვილს, იგი გაექცა მცველებს და ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

კიდევ უფრო მწვავე და უშეღავათო იყო ბრძოლა შესვენების შემდეგ. „სალუტის“ ფეხბურთელები თავგამოდებით იბრძოდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ მასპინძლებმა, რომლებიც ყველა რგოლის შეთანხმებული ურთიერთმოქმედებით გამოირჩეოდნენ, შეძლეს ხიფათის თავიდან აცილება. 75-ე წუთზე ქერდიკაშვილმა ძალიან ლამაზი, ეფექტური დარტყმით ანგარიში 2:0-მდე აიყვანა.

გ. გოზალიშვილი.

#### ფოთი

„კოლხეთის“ შეხვედრა პოდოლსკის „მაშინოსტროიტელთან“ მასპინძელთა თვალსაჩინო უპირატესობით დაიწყო. იყო მომენტები, როცა გოლი თითქოს გარდუვალი ჩანდა, მაგრამ არც ერთი შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული. 37-ე წუთზე ჭედია პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ მისი გადამწყვეტი დარტყმის წინ მდგომარეობა იხსნა ერთ-ერთმა მცველმა. დაახლოებით ასეთივე მომენტი ჰქონდა კვარაცხელიასაც.

მაღალი ტემპი არ დამცხრალა შესვენების შემდეგაც, როცა საპასუხო იერიშებს სტუმრებიც ხშირად ახორციელებდნენ.

„კოლხეთს“ გამარჯვება მოუტანა 78-ე წუთზე კარგად გათამაშებულმა საჯარიმო დარტყმამ: სანაიამ ბურთი გადასცა დოროხინს, ამ უკანასკნელმა კი ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

ა. ლომაია.

#### რუსთავი

მატჩი გათამაშების აუტსაიდერთან — კურსკის „შრომითი რეზერვების“ გუნდთან ერთობ „უხვმოსავლიანი“ გამოდგა.

მეტალურგებს თავიდანვე უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა პირველი ბურთი სწორედ მათს კარში გაიტანა 32-ე წუთზე ნიკიფოროვმა. ტაიმის დასასრულს სულ რამდენიმე წამი აკლდა, როცა კონიაშვილმა შეძლო თანაფარდობის აღდგენა.

მასპინძლებმა თამაშში სრული გარდატეხა შეიტანეს მეორე ტაიმში და 71-ე წუთისთვის კონიაშვილმა ორი ზუსტი დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი — 3:1. მალე სტუმრების კართან პირისპირ გასული ალადაშვილი უხეშად წააქციეს და დაზარალებულმა თვითონვე გამოიყენა პენალტი — 4:1.

„შრომითი რეზერვების“ რამდენიმე კონტრშეტევა მეორე გოლით დაამთავრა რიაზანცევმა, მაგრამ მატჩის მიწურულს მასპინძლები არ მოსცილებიან მოპირდაპირე კარს და მიქაშავიძისა და აშაძის დარტყმების შემდეგ ანგარიში გახდა 6:2 „მეტალურგის“ სასარგებლოდ.

გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ჭეიშვილმა, ღოღობერიძემ, კონიაშვილმა.

რ. გაბრიჩიძე.

#### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (ორიოლი) 2:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) 1:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 2:1, „ზვეზდა“ (ტირასპოლი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 2:0.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 19 | 11 | 5 | 3 | 31—9 | 27 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 19 | 9 | 8 | 2 | 32—15 | 26 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 20 | 10 | 6 | 4 | 36—23 | 26 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 20 | 9 | 6 | 5 | 28—19 | 24 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 20 | 11 | 2 | 7 | 26—24 | 24 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 19 | 8 | 7 | 4 | 25—15 | 23 |
| „დილა“ (გორი) | 20 | 8 | 7 | 5 | 23—16 | 23 |
| „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლ.) | 20 | 9 | 4 | 7 | 20—19 | 22 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 20 | 8 | 5 | 7 | 25—24 | 21 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 20 | 6 | 8 | 6 | 17—22 | 20 |
| „ზვეზდა“ (ტირასპოლი) | 18 | 7 | 4 | 7 | 15—15 | 18 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 18 | 7 | 4 | 7 | 23—25 | 18 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 20 | 7 | 4 | 9 | 23—28 | 18 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 19 | 5 | 7 | 7 | 22—28 | 17 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 20 | 5 | 7 | 8 | 19—25 | 17 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 20 | 4 | 7 | 9 | 18—27 | 15 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 18 | 3 | 5 | 10 | 13—24 | 11 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 20 | 2 | 7 | 11 | 15—27 | 11 |
| „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) | 20 | 3 | 3 | 14 | 15—41 | 9 |

#### ზუგდიდი

ენგურქაღალდკომბინატის სტადიონზე ჩატარდა საქალაქო შეჯიბრება მოტოსპორტში. სტარტზე 20 სპორტსმენი გამოვიდა. მოტოციკლების ფიგურულ მართვაში იმარჯვა გ. გვილავამ (დოსაafის საქალაქო კომიტეტი), მოტოციკლით ტრამპლინიდან ხტომაში კი I ადგილი არავის დაუთმო ვ. მალიამ (დოსაafის რაიონული კომიტეტის ავტო-მოტოკლუბი).

ბ. ალშიბაია.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი მატჩები.

● „კოლმეურნე“ (წულუკიძე) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

დინამოელებს დასაწყისშივე მიეცათ ანგარიშის გახსნის ორი კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ამ სახიფათო მომენტებში საუცხოოდ ითამაშა მასპინძელთა მეკარე ვაშაკიძემ. ამის შემდეგ ინიციატივამ წულუკიძელთა მხარეს გადაინაცვლა და „დინამოს“ ყრუ დაცვაში მოუხდა თამაში. 37-ე წუთზე სტუმრების მეკარე წყაროზიამ არაზუსტად ითამაშა, ბურთს მიუსწრო ჯანელიძემ და ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმის დასაწყისში იმავე ჯანელიძემ მეორედ აიღო მეტოქის კარი და აუტსაიდერმა დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა ლიდერთან შეხვედრაში.

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 4:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

ლოკომოტიველებმა დასაწყისშივე ორი ბურთი გაიტანეს (მანჯგალაძე, ბარდაკოვი) და სტუმრებს მატჩის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს. შემდეგ იმავე მანჯგალაძემ და დვალიშვილმა კიდევ თითოჯერ აიღეს „სალხინოს“ კარი, ამ უკანასკნელმა კი მხოლოდ 1 ბურთის გაქვითვა შეძლო (დანელია).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია „სალხინოს“ მოთამაშე დ. ჩხეტია.

● „განთიადი“ (ბორჯომი) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 2:1. მსაჯი ე. ჩიბჩიური (თბილისი).

სამივე ბურთი ბორჯომელებმა გაიტანეს, ერთი მათგანი — საკუთარში. ანგარიში გახსნა ცისკარიშვილმა, შემდეგ ნოზაძემ საკუთარ კარში მოათავსა ბურთი. შესვენების შემდეგ მან გამოასწორა თავისი შეცდომა, ეს გოლი კი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

● „ისანი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:0. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „კახეთი“ (თელავი) 4:0. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

მთელი შეხვედრის მანძილზე მეშახტე ფეხბურთელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ. „კახეთის“ კარში, სადაც სუსტად ითამაშა შმატკოვმა, ბურთები გაიტანეს ქარქაშაძემ (2), ჭელიძემ და თოდიძემ.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:0. მსაჯი ე. ჩიბჩიური (თბილისი).

ცხაკაიელთა ერთ-ერთმა მცველმა 61-ე წუთზე ხელით ითამაშა ბურთი თავის საჯარიმო მოედანზე და ნოზაძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა.

გაფრთხილება მიეცა ცხაკაიელ ო. ქაჩიბაიას. ეს ამ მოთამაშის მესამე გაფრთხილებაა წლეულს.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„კოლმეურნე“ (ტიბაანი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 1:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) 0:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:3, „შევარდენი“ (თბილისი) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:3, „თრიალეთი“ (წალკა) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი), 2:3, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 3:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „მევენახე“ (ბოლნისი) 2:1.

#### II ზონა

„განთიადი“ (აბაშა) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 4:1, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „დინამო“ (ქუთაისი) 4:1, „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 2:0 „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „დიოსკურია“ (სოხუმი) 1:1, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სქური“ (წალენჯიხა) 5:0. ალიგენის „განახლებას“ გამარჯვება ჩაეთვალა გალის „მზიურთან“.

### ზონალური პირველობა

„სოფლტექნიკა“ (თელავი) — „ქისტაური“ (ახმეტა) 2:2, „ნაფარეული“ (თელავი) — „რუბეროიდი“ (გარდაბანი) 0:5, „აბული“ (ახალქალაქი) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 4:1, „ლაშე“ (მახარაძე) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 3:1, „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) — „მეხალიჩე“ (ცხაკაია) 1:2, „ავტომობილისტი“ (სამტრედია) — „ყინწვისი“ (ქარელი) 2:2. დმანისის „რაიკავშირს“ გამარჯვება ჩაეთვალა წალკის „ავრანლოსთან“.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 5 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 25 | 15 | 7 | 3 | 42—14 | 37 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 24 | 15 | 7 | 2 | 42—24 | 37 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 24 | 14 | 7 | 3 | 46—18 | 35 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 25 | 12 | 6 | 7 | 36—33 | 30 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 24 | 11 | 7 | 6 | 42—29 | 29 |
| „სულორი“ (ვანი) | 23 | 11 | 6 | 6 | 24—15 | 28 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 25 | 9 | 8 | 8 | 42—30 | 26 |
| „კახეთი“ (თელავი) | 23 | 10 | 4 | 9 | 30—31 | 24 |
| „სამცხე“ (აწყური) | 24 | 9 | 5 | 10 | 42—41 | 23 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 23 | 9 | 5 | 9 | 21—25 | 23 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 24 | 9 | 4 | 11 | 26—37 | 22 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 25 | 9 | 4 | 12 | 28—39 | 22 |
| „ისანი“ (თბილისი) | 23 | 7 | 7 | 9 | 26—28 | 21 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 23 | 7 | 7 | 9 | 30—33 | 21 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 25 | 9 | 2 | 14 | 41—43 | 20 |
| „ივერია“ (ხაშური) | 24 | 8 | 4 | 12 | 20—38 | 20 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 24 | 6 | 7 | 11 | 16—26 | 19 |
| ბხა (თბილისი) | 18 | 6 | 5 | 7 | 23—20 | 17 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 23 | 5 | 5 | 13 | 16—29 | 15 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 24 | 3 | 3 | 13 | 30—43 | 14 |
| „კოლმეურნე“ (წულუკიძე) | 23 | 4 | 5 | 14 | 11—38 | 13 |

## თასისთვის ბრძოლაში

მოგვყავს საქართველოს თასის გათამაშების შეხვედრათა შედეგები: „კახეთი“ (თელავი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — აბრეშუმის ფაბრიკა (ქუთაისი) 5:2, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „განთიადი“ (ბორჯომი) 1:0, ლენინის სახელობის მაღარო (ჭიათურა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:3, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1, 0:2.

ზესტაფონის „მეტალურგს“ მოგება ჩაეთვალა ცხინვალის „ავტომობილისტთან“, ხოლო ქობულეთის „შუქურას“ — საჩხერის „ჩიხურასთან“.

9 აგვისტოს გაიმართება თასის მორიგი შეხვედრები. ზესტაფონის „მეტალურგი“ მიიღებს ახალციხის „მესხეთს“, ცხაკაიის „ეგრისი“ — ქობულეთის „შუქურას“, ზუგდიდის „დინამო“ — გეგეჭკორის „სალხინოს“, სამტრედიის „ლოკომოტივი“ — თელავის „კახეთს“.

## ნახევარფინალმა სიურპრიზი შემოგვთავაზა

**შახტი** (როსტოვის ოლქი), 8 აგვისტო. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრები ფრენბურთში.

ქალთა შორის ყველას აჯობეს ვორონეჟის დინამოელებმა. II ადგილზეა კრასნოდარის „დინამო“, III — ბაქოს „ნეფთჩი“, IV — ფრუნზეს „ბურევესტნიკი“.

ვაჟთა ტურნირმა სიურპრიზი შემოგვთავაზა: სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ წააგო მოსკოვის „ბურევესტნიკთან“ და მხოლოდ II ადგილი დაიკავა (I ადგილზეა „ბურევესტნიკი“). III ადგილზე გავიდა დონის როსტოვის ასკ, IV — ლენინგრადის „დინამო“.

გამარჯვებული გუნდები გადამწყვეტ თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას.

**ხარკოვი**, 4 აგვისტო. ადგილობრივი კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის სპორტულ მოედნებზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრება ფრენბურთში. ამ საპატიო პრიზისთვის შემდგომი ბრძოლის უფლება მოიპოვეს ტაშკენტის „ავტომობილისტის“ ქალთა გუნდმა და ხარკოვის № 1 სახლმშენებელი კომბინატის ვაჟთა კოლექტივმა.

**მოსკოვი**, 4 აგვისტო. სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა გუნდმა, რომელმაც აქ გამართულ ნახევარფინალურ შეჯიბრებაში ანგარიშით 3:0 სძლია საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონს, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ მოსკოვის „დინამოს“ (II ადგილზე დარჩენილი დინამოელები შეუსტებული შემადგენლობით გამოდიოდნენ).

III ადგილზეა ლენინგრადის „ბურევესტნიკი“, IV—რიგის „ავრორა“.

### ფრენბურთი

# ოლიმპიური ეპიზოდები

## ნურმი, ლეგენდარული ნურმი

პარიზის ოლიმპიადაშიც (1924 წ. 5-27 ივლისი) ტრადიციულად ყველაზე მეტად თავი მძლეოსნებმა გამოიჩინეს. 26 რეკორდიდან 15 მათს წილად მოდიოდა (6 მსოფლიო მიღწევა). ცხრილში 10 შესწორება შეიტანეს მოცურავეებმა (3 მსოფლიო რეკორდი) და ერთიც — მსროლელებმა. პარიზში უკანასკნელად ჩატარდა ჩოგბურთელთა ოლიმპიური ტურნირი. თამაშების შემდეგ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია მკვეთრად გაემიჯნა ოლიმპიურ მოძრაობას და თავისი საკუთარი ტურნირი დააწესა. გაუმართლებელი ექსპერიმენტი ჩაატარეს ცალოსნებმაც — სამჭიდის ნაცვლად ხუთჭიდი შემოიღეს, მაგრამ სიახლემ ფეხი ვერ მოიკიდა და საერთაშორისო ფედერაციაც იძულებული გახდა უარი ეთქვა ექსპერიმენტზე.

პარიზის ოლიმპიადამ დიდ სპორტში გზა გაუხსნა ბევრ, მანამდე უცნობ სპორტსმენს. მათს შორის ერთმნიშვნელობის სპორტსმენად აქცია. სხვათა შორის, ჯ. ვაისმიულერი, ყბადაღებული სათავგადასავლო კინოეპოპეის „ტარზანის" მთავარი გმირი, პირველი მოცურავეა მსოფლიოში, რომელმაც 100-მეტრიანი მანძილი წუთზე ნაკლებ დროში დაფარა.

ოლიმპიადის ერთ-ერთი აღმოჩენა იყო ურუგვაის ფეხბურთელთა გუნდიც, რომელმაც ბრწყინვალე სტილში დაამარცხა ყველა მეტოქე და ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

და მაინც, პარიზში ყველაზე პოპულარული ისევ პაავო ნურმი იყო. მუდამ პირქუში და გულჩათხრობილი ფინელი გასაოცარ ულმობლობას იჩენდა ადამიანების მიმართ. რბენის დროს მარჯვენა ხელში მას, როგორც წესი, წამმზომი ეკავა და ასე ორიგინალურად, ცხელ გულზე ამოწმებდა რბენის რიტმსა და ტემპს. ნურმიმ 5 ოქროს მედალი მიიღო, მაგრამ არც ერთხელ არ გამოუხატავს ამის გამო განსაკუთრებული აღფრთოვანება. მას ფაქტიურად მეექვსე ოქროს მედალიც უზრუნველყოფილი ჰქონდა (10-კილომეტრიან დისტანციაზე), მაგრამ გუნდის ხელმძღვანელმა ეს მედალი ამერიკაში მცხოვრებ თანამემამულე ვ. რიტოლას აღუთქვა და ამიტომაც ნურმის გვარი განაცხადში არ შეიტანა. შეურაცხყოფილმა სპორტსმენმა დაუყოვნებლივ შური იძია. იმ დროს, როცა მორბენლები მთავარ სტადიონზე ასპარეზობდნენ, ნურმიმ სახელდახელოდ რამდენიმე ფოტორეპორტიორი და ჟურნალისტი შეკრიბა, ყველას სათითაოდ წამმზომები დაურიგა და იქვე, საწვრთნელ ბილიკზე, მეტოქეებს დაუსწრებელი იმი გამოუცხადა. რიტოლამ მართლაც მოიგო ოქროს მედალი, ვინაიდან სხვებზე აშკარად ძლიერი იყო. ნურმიმ კი... ყოველდღიურ ტანსაცმელში გამოწყობილმა იმავე 10 კილომეტრის გარბენას ზღაპრულად ცოტა დრო მოანდომა. რბენის შემდეგ გაოცებული ჟურნალისტები თვალებს არ უჯერებდნენ: ყველა წამმზომზე ერთნაირი დრო იყო აღბეჭდილი — 29 წუთი და 50 წამი (რიტოლას შედეგი — 30.23,02 — როგორც ხედავთ, საგრძნობლად ჩამორჩებოდა მას). ასე დამთავრდა ეს ამბავი, რომელმაც, სამწუხაროდ, თანამედროვეობის ერთ-ერთი შესანიშნავი რეკორდი იმსხვერპლა. ყველაზე გულსატკენი ისაა, რომ ნურმიმ შემდგომში ვერაფრით ვეღარ გაიმეორა თავისი მიღწევა.

რთულ პირობებში ჩატარდა 10-კილომეტრიანი კროსიც. ორმოცი მონაწილიდან დისტანცია მხოლოდ თორმეტმა დაამთავრა. პარიზში იმ დღეს ტროპიკული სიცხე იდგა. სპორტსმენთა ნაწილი (განსაკუთრებით, ჩრდილოეთის ქვეყნებიდან ჩამოსულნი) მცხუნვარე მზის სხივებმა შეიწირა, ნაწილმა კი, უბრალოდ, ვერ გაუძლო მკაცრ გამოცდას და ასპარეზობა შეწყვიტა. ესპანელი აუდია ქორივით შემოევლო სტადიონის სარბენ ბილიკს, მაგრამ მხარშემვლელმა საპირისპირო მიმართულებით მოქუსლა. ამაოდ უმტკიცებდნენ გაოგნებულ სპორტსმენს მსაჯები, ფინიში სხვა მხარესააო. იგი ჯიუტად მიიწევდა წინ და ბოლოს სტადიონის ტერიტორიასაც გასცდა. ექიმების აზრით, აუდია იმ მომენტში სრულ ჭკუაზე არ იყო. ფინიშამდე 30 მეტრით ადრე გაოცებულ მაყურებელთა თვალწინ ფინელმა ლიომატაინენმაც საპირისპირო მიმართულებით მოუსვა. მეორე დღეს სპორტსმენს არაფერი ახსოვდა და კორესპონდენტთა შეკითხვებზე მხრებს იჩეჩდა მხოლოდ. ჰოსპიტალში დაამთავრეს რბენა შვედებმა ვიდემ, ტურესონმა და ბერგსტრიომმა. მხოლოდ დიადი ფინელი პაავო ნურმი გრძნობდა თავს არხეინად და რბენაც დამაჯერებლად მოიგო.





ერთი ყველაზე ღირსეული იყო ამერიკელი მოცურავე ჯონი ვაისმიულერი, რომელმაც მაღალი ოსტატობის სათანადოდ სამი ოქროს მედალი მიიღო და ყველაზე სწრაფი მოცურავის სახელი მოიხვეჭა. ვაისმიულერი ბავშვობაში გულის მანკით ყოფილა დაავადებული და ცურვა მშობლებს მკურნალობის მიზნით უსწავლებიათ. მზემ, წყალმა და ჰაერმა სავსებით განკურნა ავადმყოფი და მორიდებული, სუსტი ჭაბუკი მსოფლიო




* * *

სურათებზე: 5000 მეტრზე რბენის მონაწილენი ვ. რიტოლა (წინ) და პ. ნურმი; იტალიისა და ესპანეთის ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი; მაღალ ბურთს იგერიებს ესპანელთა მეკარე რ. ზამორა; VIII ოლიმპიადისადმი მიძღვნილი პლაკატი.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## სჯიან ამომავალ ვარსკვლავებს

კ. ტოდი („დერბი ქაუნთი") და ა. ჰადსონი („ჩელსი") შესაძლოა ის ორი მსხვერპლი იყოს, რომელთა შეწირვა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ეროვნული ნაკრების პრესტიჟის ასამაღლებლად და დისციპლინის გასამტკიცებლად.

საქმე ისაა, რომ მაისში ინგლისის ახალგაზრდული ნაკრები გდრ-ში, პოლონეთსა და სსრ კავშირში იყო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. გუნდს ა. რამსეი გაუძღვა, რათა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა კანდიდატები ეროვნული ნაკრებისთვის. ლონდონიდან გაფრენის დღეს გუნდის საუკეთესო ნახევარმცველებმა ტოდმა და ჰადსონმა გამგზავრებაზე უარი განაცხადეს და შინ გაბრუნდნენ, შემდეგ კი ოჯახებთან ერთად დასასვენებლად წავიდნენ. „სასტიკად დავიღალე ამ სეზონში. ჩემპიონობის მოპოვება იოლი როდი იყო", — განაცხადა ტოდმა, რომელიც „დერბი ქაუნთის" საუკეთესო ფეხბურთელია.

ოთხშაბათს სპეციალურ სხდომაზე გაირჩა ამ ორი ფეხბურთელის საკითხი. სასჯელი სექტემბერში გამოცხადდება, მაგრამ სპორტული პრესის აზრით საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობა ორივეს აეკრძალება 1974 წლის აგვისტომდე, ესე იგი, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის დასასრულამდე. მიმომხილველების აზრით, ეს ძალიან მძიმე სასჯელია. პრესა აღნიშნავს, რომ ჰადსონისა და განსაკუთრებით ტოდის სახით ეროვნული ნაკრები უაღრესად ნიჭიერ ფეხბურთელებს დაკარგავს.

## საკუთარი ინფორმაცია

19 45

◆ ოსლო, 4 აგვისტო. „ბიშლეტის" სტადიონზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო დღეს ფინელმა ლ. ვირენმა — ევროპელი სტაიერებიდან მეშვიდემ — 10-კილომეტრიანი მანძილი 28 წუთზე უკეთესი დროით გაირბინა — 27.52,4 (ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში, აგრეთვე, სკანდინავიის ქვეყნებისა და ფინეთის რეკორდია). მეტოქეებმა ვირენს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს: II ადგილზე გასული იტალიელი ჯ. ჩინდოლოს დროა 28.56,0. ფინელებმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაშიც გამოიჩინეს თავი. აქ პირველი იყო ტ. კანტანენი — 8.25,8. ი. პლახიმ (ჩეხოსლოვაკია) გაიმარჯვა 800 მეტრზე რბენაში — 1.46,6. 400 მეტრზე თარჯრბენი მოიგო ჯ. აკიიბუამ (უგანდა) — 49,4. მეორე იყო ლისიჩანსკელი ვ. სავჩენკო (50,3), ე. გავრილენკო კი, რომელმაც წინასწარი გარბენი მოიგო (49,9), ფინალში აღარ გამოსულა. 200 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ე. ჰარტმა (აშშ) — 20,5. მეორე იყო ევროპის რეკორდის „თანაავტორი" პ. მენეა (იტალია) — 20,6. შვედმა რ. ბრუხმა 63.82 მეტრზე ტყორცნა ბადრო და 40 სანტიმეტრით აჯობა ამერიკელ ჯ. სილვესტრს, რომელთანაც მსოფლიო რეკორდს „იყოფს". ჭოკით ხტომაში ბადალი არ ჰყავდა დ. რობერტსს (აშშ) — 535 სმ. 4×100 მეტრზე ესტაფეტა ამერიკელებმა რობინსონმა, ტინკერმა, ტეილორმა და ჰარტმა მოიგეს — 39,1. საბჭოთა სპრინტერების კორნელიუკის, ლოვეცკის, ატამასისა და ჟიდკიხის დროა 39,6. 1500 მეტრზე ქალთა რბენა მაღალი შედეგით მოიგო ი. კაიზერმა (ჰოლანდია) — 4.13,4.

◆ ვალენსია (აშშ), 4 აგვისტო. 19 წლის კეტი შმიდტმა 61,11 მეტრზე ტყორცნა შუბი და ამერიკის შეერთებული შტატების რეკორდი დაამყარა.

## იონი ნილსონი — „ცირკის" ორგანიზატორი

სტოკჰოლმი, 3 აგვისტო. როგორც გაზეთი „აფტონბლადეტი" იუწყება, მსოფლიოს 1963 წლის ჩემპიონი ციგურებით სწრაფრბენაში, შვედი იონი ნილსონი „საციგურაო ცირკის" შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორია. სწორედ ის მოელაპარაკა ვარსკვლავების უმეტესობას. შვედი მოციგურავეებიდან მან პროფესიონალებში გადასვლაზე დაიყოლია ჰ. ბიორივსი, უ. კიონიგი და ე. კლასონი. ნილსონს მოლაპარაკება ჰქონდა გაჩაღებული, აგრეთვე, 1969 წლის აბსოლუტურ ჩემპიონთან, ნორვეგიელ დ. ფორნესთან, მაგრამ ამ უკანასკნელს მისი წინადადება მაინცდამაინც სარფიანი არ ეჩვენა.

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა ა. სხენკმა დაადასტურა, რომ ხელი მოაწერა კონტრაქტს. იგივე აქვს განზრახული სახელგანთქმულ „მფრინავ ჰოლანდიელს" კ. ფერკერკს. ამბობენ, თითქოს ხელშეკრულება დადეს ფინელებმა ლ. ლინკოვესიმ და ს. ჰიანინენმა, აგრეთვე, მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორმა, ნორვეგიელმა რ. გრიონვოლდმა.

(საქდესი).

## დაიღუპა სვედბერგი

სტოკჰოლმი. საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპა ერთ-ერთი საუკეთესო შვედი ჰოკეისტი, 28 წლის ლენარტ სვედბერგი. შვეციის ნაკრებში იგი პირველად ამ ათი წლის წინ გამოვიდა და 120 საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა, ხუთ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა და ორჯერ აღიარეს საუკეთესო მცველად.

ამ რამდენიმე წლის წინ სვედბერგი საბჭოთა კავშირში ცსკა-ს ეწვია სეზონის დაწყებამდე და ამ გუნდის საწვრთნელ მეცადინეობებში მონაწილეობდა.

## ნინასწარმეტყველებენ

ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა განაცხადა: „ბუქარესტში დევისის თასზე საზონათშორისო შეხვედრა რუმინეთის გუნდთან იოლი არ იქნება. რუმინელები ი. ნასტასეს მეთაურობით ძალიან ძნელი მეტოქეები იქნებიან". მაგრამ მანვე აღნიშნა: „ავსტრალიელები ალბათ მოიგებენ ანგარიშით 3:2. ფინალში მოსალოდნელია ესპანეთის გუნდთან შეხვედრა თუ ესპანელები აშშ-ს ნაკრებთან შეხვედრაში კორტზე ა. ხიმენოს გამოიყვანენ, ისინი გაიმარჯვებენ".

რუმინელთა ლიდერმა ი. ნასტასემ ბუქარესტში ჟურნალისტებს განუცხადა, რუმინელები ფინალში გავლენ და ეს ამბავი მოულოდნელი არ უნდა იყოსო.

(საქ. ინფ.).

## ბავშვთა სპარტაკიადის 510 საათი

ფრიდრიხ-ლიუდვიგ იანის სახელობის ბერლინის სპორტულ პარკში ექვს დღეს ენთო ოლიმპიური ჩირაღდანი, ექვს დღეს, უფრო ზუსტად — 510 საათს, თუ გავითვალისწინებთ 37 სპორტული ბაზის ერთდროულ დატვირთვას გდრ-ის დედაქალაქში რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა IV სპარტაკიადა მიმდინარეობდა.

გერმანიის სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის პრეზიდენტმა მ. ევალდმა პრეს-კონფერენციაზე შეაჯამა ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების შედეგები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპარტაკიადის პროგრამა სამჯერ მეტი იყო ოლიმპიურზე, ვადები კი ორჯერ ნაკლები.

სპარტაკიადის ძირითადი მონაცემები ასეთია: 7500 მონაწილე და მწვრთნელი, 1450 მსაჯი, 19 სახეობა (შეჯიბრება სამ ასაკობრივ ჯგუფად ტარდებოდა), გათამაშდა 1177 ოქროსა და ვერცხლის, 1244 ბრინჯაოს მედალი.

როგორც, ორი წლის წინ, გუნდური გამარჯვება ახლაც ბერლინის ნორჩმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. II ადგილზე არიან ლაიპციგის ოლქის, III — ჰალეს ოლქის წარმომადგენლები.

სულ დამყარდა და გამეორდა გდრ-ის 26 რეკორდი განსაკუთრებით მაღალი შედეგები მოიპოვეს მძლეოსნებმა, რომელთა შეჯიბრებაში 1800 ნორჩი ჩაება. უფროს ასაკობრივ ჯგუფში აღსანიშნავია მაგდებურგელი გოგონას პ. მაისემანის შედეგი — 4282 ქულა ხუთჭიდში, ერფურტელი მძლეოსანი გოგონას ზ. ტონის მაჩვენებელი სიგრძეზე ხტომაში (630 სმ), ბერლინელი ლ. მიხელის შედეგი შუბის ტყორცნაში (75,80 მ).

სპარტაკიადის გახსნის დღეს მონაწილეებმა ბერლინში, ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგი მოაწყვეს.

ა. გრიგორიევი.
(საქდესის კორ.).

ბერლინი.

რედაქტორი მ. ბაკაბაძე.

თბილისი
სპორტულ ამბები

ცურვა. „ლოკომოტივის" აუზი. 5-6 აგვისტო. სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი. I ეტაპი. დასაწყისი 11 და 18 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უმ 04550